I – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ჩამოთვლილთაგან რომელი კულტურა მიეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას?

ა. შულავერ-შომუ-თეფეს

ბ. თრიალეთის

გ. მტკვარ-არაქსის

დ. კოლხური

2. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო არგიშთ I?

ა. ასურეთის

ბ. ურარტუს

გ. მითანის

დ. ბაბილონის

3. რომელ ისტორიულ პროცესს აღნიშნავს „ბერძნული კოლონიზაცია“?

ა. ბერძენი მსჯავრდებულების გადასახლებას მცირე აზიაში

ბ. ბერძნების მიერ ახალი ქალაქების დაარსებას საბერძნეთის გარეთ

გ. დაპყრობილი მოსახლეობის გადასახლებას საბერძნეთში

დ. ბერძენი მეომრების მონაწილეობას სპარსეთის დაპყრობაში

4. რა სახელითაა ცნობილი ანტიკური ხანის იბერიის სამეფო ქართულ წყაროებში?

ა. იმერეთი

ბ. კახეთი

გ. ქართლი

დ. ჰერეთი

5. როგორ დამთავრდა პომპეუსის ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში?

ა. ტყვედ ჩავარდნილი მეფე პომპეუსმა სიკვდილით დასაჯა

ბ. მეფის დაღუპვის შემდეგ პომპეუსმა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გააუქმა

გ. პომპეუსი დაედევნა დასავლეთ საქართველოში გაქცეულ მეფეს

დ. მძევლების მიღების შემდეგ პომპეუსი მეფეს დაუზავდა

6. რას წარმოადგენს არმაზის ბილინგვა?

ა. საამშენებლო სტელას

ბ. ეპისტოლარულ ძეგლს

გ. საეკლესიო მოსახსენიებელს

დ. საფლავის ქვის წარწერას

7. ვინ ეხმარებოდნენ ჰერაკლე კეისარს თბილისისათვის ბრძოლაში?

ა. ჰუნები

ბ. პაჭანიკები

გ. ყივჩაღები

დ. ხაზარები

8. რომელი სამთავროს დამაარსებელია აშოტ კურაპალატი?

ა. კახეთის

ბ. ტაო-კლარჯეთის

გ. ჰერეთის

დ. აფხაზეთის

9. თურქ-სელჩუკების მიერ ბაღდადის აღების შემდეგ რა ტიტული მიანიჭა ხალიფამ თოღრულ ბეგს?

ა. შაჰის

ბ. ყაენის

გ. სულთნის

დ. ამირას

10. რას მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები?

ა. მათთვის საკანონმდებლო უფლების გადაცემას

ბ. სავაზიროს დაშლას და დარბაზის შექმნას

გ. მათთვის სასამართლო ხელისუფლების გადაცემას

დ. სასულიერო პირთათვის დარბაზის წევრობის ჩამორთმევას

11. მონღოლთა რომელ სახელმწიფოს ემორჩილებოდა საქართველო?

ა. ილხანთა საყაენოს

ბ. ჩაღატაის სახანოს

გ. ოქროს ურდოს

დ. იუანთა საემიროს

12. რომელ სახელმწიფოში მოვიდა ხელისუფლების სათავეში XVI საუკუნის დასაწყისში სეფევიდების ანუ სეფიანთა დინასტია?

ა. ოსმალეთში

ბ. ერაყში

გ. ირანში

დ. ეგვიპტეში

13. ვისი ხელისუფლება დაემხო საფრანგეთში 1794 წელს?

ა. ბონაპარტისტების

ბ. მონარქისტების

გ. თერმიდორელების

დ. იაკობინელების

14. რომელ ბრძოლაში დამარცხდა ნაპოლეონი 1813 წელს?

ა. ლაიფციგის

ბ. აუსტერლიცის

გ. ბოროდინოს

დ. მარენგოს

15. რომელი ქართული სამთავრო გააუქმა რუსეთმა XIX საუკუნეში?

ა. კახეთის

ბ. იმერეთის

გ. აჭარის

დ. გურიის

16. რომელ სახელმწიფოს წარმოადგენდა ლოიდ ჯორჯი ვერსალის საზავო კონფერენციაზე?

ა. აშშ-ს

ბ. საფრანგეთს

გ. დიდ ბრიტანეთს

დ. იტალიას

17. რომელ სახელმწიფოში მოხდა „უოლ-სტრიტის კრახის“ სახელით ცნობილი მოვლენა?

ა. დიდ ბრიტანეთში

ბ. გერმანიაში

გ. საფრანგეთში

დ. აშშ-ში

18. რომელ ოკეანეში მდებარეობდა პერლ-ჰარბორის სამხედრო საზღვაო ბაზა?

ა. ინდოეთის

ბ. ატლანტის

გ. ჩრდილოეთ ყინულოვან

დ. წყნარ

19. რას ითვალისწინებდა „მარშალის გეგმა“?

ა. სსრკ-ის წინააღმდეგ სამხედრო ბლოკის შექმნას

ბ. დამარცხებული გერმანიის ოთხ საოკუპაციო ზონად დაყოფას

გ. აზიასა და აფრიკაში დემოკრატიული ხელისუფლებების მხარდაჭერას

დ. ევროპის ქვეყნების ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას

20. რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას?

ა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია

ბ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

გ. თავდაცვის სამინისტრო

დ. სახალხო დამცველი

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

21. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის მმართველები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. სარდურ II
2. მენუა
3. ტიგლათფილესერ I

22. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სელჩუკთა სულთნები მათი მმართველობის დროის მიხედვით:

1. მალიქ-შაჰი
2. ალფ-არსლანი
3. თოღრულ-ბეგი

23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საფრანგეთის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. აუსტერლიცის ბრძოლა
2. პარიზელების მიერ ბასტილიის აღება
3. ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა

24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ II მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები:

1. იალტის კონფერენცია
2. სტალინგრადის ბრძოლა
3. ოპერაცია „ბარბაროსას“ დაწყება

III - შეცდომის პოვნა და შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები. იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი შესწორებული ვარიანტი. **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამოდენიმე სიტყვა.** დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

(14) **25. ვახტანგ გორგასლის ანტიირანული აჯანყება**

მეფე ვახტანგ გორგასალი ქართლის სრული დამოუკიდებლობისათვის იღწვოდა. ამ მიზნით VI საუკუნის მეორე ნახევარში მან დიდი ანტიირანული აჯანყება წამოიწყო. მისი ბრძანებით მოკლეს პიტიახში ვარსქენი, რომელსაც ირანის სახელმწიფო რელიგია – ისლამი ჰქონდა მიღებული. აქემენიდმა შაჰმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ვახტანგ მეფეს ყივჩაღთა დახმარების იმედიც ჰქონდა, მაგრამ იქიდან მხოლოდ უმნიშვნელო სამხედრო ძალა მოუვიდა. ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ვახტანგის ბოლო ბრძოლა მოხდა მდინარე არაგვის პირას. იქ მიღებული ჭრილობებისაგან მეფე გარდაიცვალა. იგი უჯარმაში პატივით დაკრძალეს. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ვითარება გართულდა. მალე ქართლში მეფობა გაუქმდა და ქვეყნის მმართველად ირანელი მოხელე, ამირა დაინიშნა.

(14) 26. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

პირველი ინგლისური კოლონიები ამერიკის კონტინენტზე ინგლისში ბურბონთა დინასტიის მმართველობის პერიოდში გაჩნდა. XVIII საუკუნის 50–იან წლებში ინგლისმა ამერიკულ კოლონიებში ახალი გადასახადების შემოღება სცადა, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა. ინგლისის არმიას კოლონისტებმა შეიარაღებული რაზმები დაუპირისპირეს. მეორე კონტინენტური კონგრესის გადაწყვეტილებით, რომელიც პირველი კონტინენტური კონგრესის მსგავსად, ქალაქ ბოსტონში შეიკრიბა, კოლონიების ურთიერთობა ინგლისთან შეწყდა და აჯანყებულების მთავარსარდლად ჯეფერსონი დაინიშნა. კონგრესმა „თავისუფლების დეკლარაცია“ დაამტკიცა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ახალი სახელმწიფო შეიქმნა. ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების გამარჯვებით დასრულდა. როტერდამის ზავით, ინგლისმა ცნო აშშ–ს დამოუკიდებლობა და 1777 წელს კონგრესმა აშშ–ს კონსტიტუცია მიიღო.

IV - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) **27. ნაწყვეტი ფრანგი მოგზაურის ჟ.პ. დე ტურნეფორის (1656–1708)[1] ნაშრომიდან „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“**

ღმერთმა ინება, რომ იბერიელები, რომელთაც დღეს ჩვენ ქართველების სახელით ვიცნობთ, ჭეშმარიტ რწმენაზე ერთმა ქრისტიანმა ტყვე ქალმა მოაქცია. მან თავისი სასწაულებრივი მოქმედებით გააქრისტიანა ეს ხალხი და განკურნა მათი მეფე თვალებში სისხლის ჩაქცევისაგან, რაც მას ნადირობის დროს მოსვლია. სოკრატე დასძენს, ახლადმოქცეულებმა კონსტანტინეს ეპისკოპოსები სთხოვესო განსასწავლად; პროკოპი კი ირწმუნება, ეს ხალხი ამ დროისათვის უკვე ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენო...

დღეს აქ ყველაფერი შეცვლილია. საქართველოს მეფე, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციას ასრულებს, სარწმუნოებით აუცილებლად მაჰმადიანი უნდა იყოს, რადგან სპარსეთის ხელმწიფე მმართველად ისე არავის დანიშნავს, თუ იგი არ გამაჰმადიანდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს თბილისის მეფეს ერეკლე[2] ერქვა. იგი ბერძნული სარწმუნოებისა ყოფილა, მაგრამ მისთვის რწმენა შეუცვლევინებიათ. ამბობდნენ, ეს ხელმოცარული მეფე ორივე რელიგიას ერთდროულად აღიარებსო: დადის მეჩეთშიც, ასევე მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოსაც სვამსო. იგი ძალზე მერყევი და ორჭოფი მეფე გახლდათ. შეიძლებოდა მისთვის ათასჯერ შეეცვლევინებინათ აზრი ისეთ საქმეზე, რომელიც დღესავით ნათელი იყო.

[1] ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორმა საქართველოში 1701 წლის ზაფხულში იმოგზაურა
[2] ერეკლე I (1688-1703 წწ)

<u>კითხვები:</u>

(1) 27.1. რა ერქვა ტექსტში მოხსენიებულ ქართველთა გამაქრისტიანებელ „ტყვე ქალს“?

(1) 27.2. რომელ საუკუნეში მოაქცია „ტყვე ქალმა“ ქართლი?

(1) 27.3. ვინ იყო „ქართველთა მოქცევისას“ ქართლის მეფე?

(1) 27.4. რომელი სახელმწიფოს მმართველი იყო ტექსტში ნახსენები კონსტანტინე?

(1) 27.5. რომელ სახელმწიფოში მოღვაწეობდა ტექსტში ნახსენები პროკოპი კესარიელი?

(1) 27.6. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა პროკოპი კესარიელი?

(1) 27.7. თქვენი აზრით, რატომ მოიხსენიებს ავტორი საქართველოს მეფეს „მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციის შემსრულებლად“?

(1) 27.8. რა იგულისხმება „ბერძნულ სარწმუნოება“-ში?

(1) 27.9. რომელი ეკლესიის მეთაურია პაპი?

(1) 27.10. რომელი კონკრეტული სამეფოს მეფე იგულისხმება „თბილისის მეფეში“?

(1) 27.11. რა ტიტულს ატარებდა სპარსეთის ხელმწიფე?

(1) 27.12. ტექსტის მიხედვით, მოიყვანეთ არგუმენტი, რომლიც ერეკლე მეფის მერყევ ხასიათზე მიუთითებს?

V - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) **28. შეისწავლეთ მოცემული რუკა და უპასუხეთ კითხვებს.**

<u>**კითხვები:**</u>

(2) **28.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?**

(1) **28.2. რომელი სახელმწიფო ახორციელებდა შეტევას ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე?**

(1) **28. 3. რომელ სახელმწიფოს წაართვეს ბიზანტიელებმა კუნძულები კრეტა და კვიპროსი?**

(4) **28.4. ჩამოთვალეთ ბულგარეთის ყველა მოსაზღვრე სახელმწიფო.**

(1) **28.5. რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის ქრისტიანთა წმინდა ქალაქი?**

(1) **28.6. რომელ ქართულ სამეფო/სამთავროს ეკუთვნოდა ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ტერიტორია?**

(1) **28.7. რომელი სამეფოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაიპყრეს ბიზანტიელებმა?**

(1) **28.8. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია არაბთა ერთიანი სახალიფოს დაშლა?**


ბიზანტია და მისი მეზობლები
ბურგუნდია
ბავარიის
საჰერცოგო
უნგრეთის სამეფო
ხორვატია
სერბეთი
ბულგარეთის სამეფო
ბაღდადის სახალიფო
რავადიანთა სამირო
ფატიმიანთა სახალიფო
მილანი
გენუა
ვენეცია
რომი
ნეაპოლი
ესტერგომი
დუნაი
პრესლავი
971
1018
1014
1018
ოჰრიდი
კონსტანტინოპოლი
ნიკეა
კორინთო
ხერსონესი
დნეპრი
ვოლგა
დარუბანდი
ქუთაისი
თბილისი
განძა
შამახა
არტანუჯი
ანისი
ტრაპიზონი
1021
თავრიზი
კესარია
ანტიოქია
ალეპო
965
969
962
975
დამასკო
იერუსალიმი
ალექსანდრია
კაირო
კრეტა
961
კვიპროსი
965
ტუნისი
სიცილია
964-965,
1038-1043
ტრიპოლი
ევფრატი
ტიგროსი
ბაღდადი
ბიზანტია X ს-ის შუა ხანებში
ბიზანტიის საზღვარი XI ს-ის შუა ხანებში
ქართული სამეფო-სამთავროები
სომხური სამეფო-სამთავროები
პაპის ოლქი
იტალიის სამეფო
ლაშქრობათა და დაპყრობათა თარიღები
ლაშქრობათა მიმართულებები
100 0 100 200 300

VI – პრობლემის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) **29. ერეკლე** II **და რუსეთ-ოსმალეთის ომი**

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისას ერეკლე II-მ დარბაზი მოიწვია. განიხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხი: ჩაბმულიყო თუ არა ქართლ-კახეთის სამეფო ამ ომში რუსეთის მხარეს. დარბაზის მონაწილეთა ერთი ნაწილი ამ ომში რუსეთის მხარეს ჩაბმის მომხრე გახლდათ, ნაწილი კი – მოწინააღმდეგე.

<u>დავალება:</u>

მოიყვანეთ თითო-თითო კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ.

(2) **30. გერმანიის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე**

პოტსდამის კონფერენციაზე გერმანიის საკითხის გარშემო კამათი გაიმართა. კონფერენციის მონაწილეთა ნაწილი გერმანიისათვის მძიმე პირობების წაყენების მომხრე იყო. კონფერენციის სხვა მონაწილეები კი საწინააღმდეგო აზრს უჭერდნენ მხარს.

<u>დავალება:</u>

მოიყვანეთ თითო-თითო კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ.

სწორი პასუხები

I – არჩევითბოლოიანი კითხვები, ყოველი დავალება 1 ქულით ფასდება.

1. გ
2. ბ
3. ბ
4. გ
5. დ
6. დ
7. დ
8. ბ
9. გ
10. ა
11. ა
12. გ
13. დ
14. ა
15. დ
16. გ
17. დ
18. დ
19. დ
20. დ

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა, ყოველი დავალება 1 ქულით ფასდება.

21. 321
22. 321
23. 231
24. 321

III– შეცდომის პოვნა

25. სულ 14 ქულა (აღმოჩენილი შეცდომა 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა).

არის	უნდა იყოს
1. VI	V
2. ისლამი	ცეცხლთაყვანისმცემლობა ზოროასტრიზმი/მაზდეანობა
3. აქემენიდი	სასანიდი
4. ყივჩაღები	ჰუნები
5. არაგვი	იორი
6. უჯარმა	მცხეთა
7. ამირა	მარზპანი

26. სულ 14 ქულა (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა).

არის	**უნდა იყოს**
1. ბურბონები	სტიუარტები
2. 50-იანი	70-იანი
3. ბოსტონი	ფილადელფია
4. ჯეფერსონი	ვაშინგტონი
5. თავისუფლების	დამოუკიდებლობის
6. როტერდამი	პარიზი
7. 1777	1787

IV – ისტორიული წყაროს ანალიზი

სულ 12 ქულა

27.1. ნინო (1 ქულა)

27.2. IV (1 ქულა)

27.3. მირიანი (1 ქულა)

27.4. რომი (1 ქულა)

27.5. ბიზანტიაში (1 ქულა)

27.6. VI (1 ქულა)

27.7. იგი არ არის დამოუკიდებელი მმართველი (მსგავსი შინაარსის ნებისმიერი პასუხი, ფაქტობრივი შეცდომის გარეშე) (1 ქულა)

27.8. მართლმადიდებლობა (1 ქულა)

27.9. კათოლიკურის, რომის (1 ქულა)

27.10. ქართლი (1 ქულა)

27.11. შაჰის (1 ქულა)

27.12. შეიძლებოდა მისთვის ათასჯერ შეეცვლევინებინათ აზრი ისეთ საქმეზე, რომელიც დღესავით ნათელი იყო//ორივე რელიგიის ერთდროულად აღიარება (1 ქულა)

V – რუკის ანალიზი

სულ 12 ქულა

28.1. X-XI სს. (2 ქულა); მხოლოდ X ს. ან მხოლოდ XI ს. (1 ქულა); სულ 2 ქულა.

28.2. ბულგარეთი (1 ქულა)

28.3. ფატიმიანთა სახალიფოს (1 ქულა)

28.4. ბიზანტია – 1 ქულა// სერბეთი – 1 ქულა// ხორვატია – 1 ქულა// უნგრეთი – 1 ქულა; სულ 4 ქულა.

28.5. ფატიმიანთა სახალიფო (1 ქულა)

28.6. ტაო-კლარჯეთი (1 ქულა)

28.7. ბულგარეთი (1 ქულა)

28.8. ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებელი აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1 ქულა)

VI – პრობლემის ანალიზი

29. სულ 2 ქულა

მომხრე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებელი აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა.

მოწინააღმდეგე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებელი აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა.

30. სულ 2 ქულა

მომხრე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებელი აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა.

მოწინააღმდეგე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებელი აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა.